

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვით შეფასების დეპარტამენტს

შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „გრუპი“-ს  
(ს/კ 404466387, რეგისტრირებული: ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, კ.კეკელიძის ქ., N 28/30, ბ. N16)

მობ: 599 75 10 51; 555 48-13-80.

ელ. ფოსტა: lkizilashvili@gmail.com

## სკრინინგის ანგარიში

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „გრუპი“ (ს/კ 404466387), რეგისტრირებული: ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, კ.კეკელიძის ქ., N 28/30, ბ. N16, დამონტაჟებული აქვს წიდისა და კირქვის სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი გარდაბნის რაიონი, სოფელი კრწანისი, (GPS კოორდინატში X – 490000.00; Y – 4605643.00).

აღნიშნული საწარმოო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დამორებულიქნება 900 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის და ამავე კოდექსის მე-2 დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად - შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „გრუპი“-ს მიერ წიდისა და კირქვის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასაველელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს: გარდაბნის რაიონი, სოფელი კრწანისი, ს/კ 81.04.05.722 და წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს შპს „ხის დამამუშავებელი კომბინატი“-ს საკუთრებას და იჯარით აქვს აღებული.

საწარმო ტერიტორიაზე დამონტაჟებულია სამსხვრევი და დამახარისხებელი დანადგარით სათანადო სრული კომპლექტაციით. აღნიშნულ დანადგარზე შესაძლებელია როგორც უკვე გრანულირებული წიდის ასევე მსხვილ ფრაქციებად დამსხვრეული კირქვის დახარისხება საცერში და საცერში დარჩენილი მსხვილი ფრაქციის, რომელიც შეადგენს გადასამუშავებელი ნედლეულის მაქსიმუმ 10 %-ს, მათი მშრალი მეთოდით დამსხვრევა და შემდგომ დახარისხება სხვადასხვა ფრაქციებად და შემდგომ დასაწყობება. იგი შედგება შემდეგი ძირითადი დეტალებისა და კვანძებისაგან:

1. საწარმო ახორციელებს ფეროშენადნობის ქარხნიდან (ძირითადად შპს „რუსელოისი“) წარმოქმნილი წიდის შექმნას, რომელიც გრანულირებულია წყლის ავზში ჩაყრის შემდეგ, რომლის შემოტანა განხორციელდება ავტოთვითმცლელელებით; ასევე საწარმოში მოხდება მსხვილ ფრაქციებად დამსხვრეული კირქვის შემოტანა;
2. მაღალტენიანი წიდის ან დამსხვრეული კირქვის მიწოდება მიმდებ ბუნკერში;
3. ბუნკერიდან მასალის გადატანა ჰორიზონტალურ საცერში;

4. საცრიდან წვრილი ფრაქციის ლენტური ტრანსპორტიორით სასაწყობო ტერიტორიაზე დასაწყობება;
5. საცრიდან წვრილი ფრაქციის გამოცლილი მასის გადატანა პირველად სამსხვრევ დანადგარში, რომელიც ხორციელდება მშრალი მეთოდით;

სამსხვრევი დანადგარიდან დამსხვრეული მასალის გადაადგილება ჰორიზონტალურ საცერზე და დახარისხება სხვადასხვა ზომის ფრაქციებად.

აღნიშნული დანადგარის წარმადობა ტოლია 40 ტ/სთ-ში, საიდანაც პირველად სამსხვრევ დანადგარში ხორციელდება მხოლოდ მისი დაახლოებით 10 %-ის მსხვრევა, ანუ სააში სამსხვრევ დანადგარს მიეწოდება 4,0 ტონა წიდის მსხვილი ფრაქცია ან კირქვის მსხვილი ფრაქცია, ხოლო დანარჩენი მასა საცერში გავლით საწყობდება ოთხ სხვადასხვა ფრაქციად (ქვიშა და ღორღის სამი ფრაქცია). სამსხვრევი დანადგარი მუშაობს მშრალი მეთოდით.

საწარმოში შემოტანილი წიდა ან კირქვა საწარმოში ავტოთვითმცლელელებით შემოიზიდება და იყრება მიმღებ ბუნკერში, სადაც ხორციელდება მისი დახარისხება. გაცრის შემდეგ დარჩენილი მსხვილი ფრაქცია მიეწოდება სამსხვრევ დანადგარს საიდანაც გადადის საცერში, საიდანაც ოთხ ფრაქციად ხარისხდება და ლენტური ტრანსპორტიორით შესაბამის სასაწყობო ტერიტორიაზე საწყობდება, ხოლო საცერში გაცრისას იგივე ლენტური ტრანსპორტიორით ოთხ სხვადასხვა ფრაქციებად საწყობდება საწყობში.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: წიდის გადამუშავებისას არაორგანული მტვერი და მანგანუმის დიოქსიდი, ხოლო კირქვის გადამუშავებისას არაორგანული მტვერი. გადამუშავებულ წიდაში მანგანუმის შემცველობა არ აღემატება 10 %-ს.

საპროექტო წარმადობა წიდის ან კირქვის დამახარისხებელი დანადგარის წარმადობა შეადგენს 83200 ტონა წელიწადში, სადაც გადამუშავებული მანგანუმის შემცველი წიდის რაოდენობა იქნება 66560 ტ/წელ, 208 სამუშაო დღით, დღეში 8 საათიანი რეჟიმით, ხოლო გადასამუშავებული კირქვის რაოდენობა იქნება 16640 ტ/წელ, 52 სამუშაო დღით, დღეში 8 საათიანი რეჟიმით

აღნიშნული წიდის გადამუშავებით საშუალოდ მიიღება 13322 ტ/წელ წვრილი ფრაქცია (ქვიშა) და ღორღის სხვადასხვა ფრაქციები 53248 ტ/წელ ოდენობით.

ხოლო ზემოთ აღნიშნული კირქვის გადამუშავებით საშუალოდ მიიღება 3328 ტ/წელ წვრილი ფრაქცია (ქვიშა) და ღორღის სხვადასხვა ფრაქციები 13312 ტ/წელ ოდენობით.

ტექნოლოგიური ოპერაციების რეგლამენტთან შესატყვისი მიმდევრობა უზრუნველყოფას ტექ. რეგლამენტის შესრულებას და გამოყოფის ინტენსივობის ნორმატიულობას პროცესის ძირითადი ოპერაციებით შეიძლება გამოისახოს ქვემოთ მოყვანილი მიმდევრობით:

1. წიდის ან კირქვის ავტოთვითმცლელელებიდან ჩამოცლისა და ბუნკერში ჩაყრის ადგილებიდან;
2. წიდის ან კირქვის გატარება საცერში;
3. მსხვილი ფრაქციის სამსხვრევში პირველადი მსხვრევა;
4. წიდის ან კირქვის სხვადასხვა ფრაქციების ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით;



საწარმოს ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია საამშენებლო ბლოკების წარმოების უბანი, რომელიც იმუშავებს საწარმოში წიდის გადამუშავებით მიღებულ მასალაზე.

საწარმოს ტერიტორიაზე განლაგებულია ერთი ბეტონის საზელი კვანძი, რომელთაგან განკუთვნილია საამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის.

საამშენებლო ბლოკების წარმოების დანადგარის წარმადობა ყველაზე დიდი ზომის ბლოკის წარმოებისას შეადგენს 200 ბლოკი საათში, რომლისათვის საჭიროა 2.400 ტონა ბეტონი.

საამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის ცემენტი შემოიტანება ცემენტშიდით და იყრება ცემენტის სილოსში.

როგორც უკვე აღინიშნა, საამშენებლო ბლოკების ბეტონის საზელი დანადგარი უზრუნველყოფს საათში 2.400 ბეტონის მიღებას.

საწარმოს მიერ დაგეგმილია წელიწადში 8 სათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 260 სამუშაო დღით საამშენებლო ბლოკების წარმოების საამქროში 4992 ტონა ბეტონის წარმოება და შესაბამისად მისგან 416000 ცალი საამშენებლო ბლოკი წელიწადში 1600 ცალი ბლოკი დღეში.

საამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება საწარმოში უკვე გადამუშავებულ წიდის შესაბამისი ფრაქციების არეული მასა.

გადამუშავებული წიდის სასაწყობე ტერიტორიიდან ინერტული მასალა ჩაიტვირთება ბეტონშემრევის მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით ჩაიტვირთება ბეტონშემრევაში, რომელშიც ასხია წყალი და ემატება ცემენტი. არაორგანიზებული გაფრქვევა წარმოიქმნება ინერტული მასალისა და ცემენტის ჩაყრისას ბეტონშემრევაში და მისი მოზელისას.

ბეტონშემრევაში ტექნოლოგიური ოპერაციების რეგლამენტთან შესატყვისი მიმდევრობა უზრუნველყოფას ტექ. რეგლამენტის შესრულებას და გამოყოფის ინტენსივობის ნორმატიულობას პროცესის ძირითადი ოპერაციებით შეიძლება გამოისახოს ქვემოთ მოყვანილი მიმდევრობით:

- 1). ინერტული მასალების მიმღებ ბუნკერში;
- 2). ინერტული მასალების ტრანსპორტირება ლენტური ტრანსპორტიორით ბეტონშემრევაში;
- 3). წყლის ჩატვირთვა ბეტონშემრევაში;
- 4). ინერტული მასალების ჩატვირთვა ბეტონშემრევაში;
- 5). ცემენტის ჩატვირთვა ბეტონშემრევაში;
- 6). ბეტონის მორევა;
- 7). გამზადებული ბეტონის მასის გადმოტვირთვა საკედლე ბლოკების დასამზადებელ ფორმებში.

416000 ცალი ყველაზე დიდი ზომის საამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის ესაჭიროება 4160 ტონა გადამუშავებული წიდა, 750 ტონა ცემენტი და 82 მ<sup>3</sup> წყალი.

საამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის საჭირო წყალი საწარმოში შემოიტანება ავტოცისტერნით და ისხმება 4 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის რეზერვუარში, საიდანაც შემდგომ მიეწოდება ბეტონშემრევს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დღევანდელი მდგომარეობით უკვე მოწყობილია როგორც სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, ასევე საამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის საჭირო დანადგარები.

საამშენებლო ბლოკების წარმოების ბეტონშემრევი და საკედლე ბლოკების დასამზადებელ ფორმების დანადგარი ცემენტის სილოსთან ერთად განთავსებულია ანგარის ტიპის შენობაში, რომელიც გადახურულია და იატაკი მობეტონებულია.

საწარმოს ტერიტორიის მისასვლელი გზა წარმოადგენს სოფელ კრწანისის ასფალტირებულ გზას, საიდანაც შემდგომ საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა წარმოადგენს გრუნტის გზას, რომელიც დაახლოებით 800 მეტრია.

საწარმოო ტერიტორიის 500 მეტრი რადიუსის შიგნით არ ფიქსირდება როგორც რაიმე საცხოვრებელი ზონა, ასევე რაიმე საწარმოები. მის შემოგარენში მხოლოდ ცარიელი აუთვისებული ტერიტორიებია.

საწარმოო ტერიტორიაზე არსებობს შიდა საკანალიზაციო სისტემა, რომელიც მიერთებულია უკვე არსებულ ბეტონის ამოსაწმენდი ორმო.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო მიზნებისათვის, კერძოდ საამშენებლო ბლოკების წარმოებისათვის, წყალი შემოიტანება ავტოცისტერნით და ისხმება 4 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის რეზერვუარში, ხოლო საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის წყლის შემოტანა ხორციელდება წყლის ბიდონებით.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში.

წილის ან კირქვის დახარისხება-დამსხვრევისას ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი და მანგანუმის დიოქსიდი.

მართალია დანადგარი მუშაობს მშრალი მეთოდით და ყოველი ერთი ტონა ნედლეულის პირველადი და მეორადი მსხვრევისას გამოიყოფა 0.14 კგ მტვერი, მაგრამ რადგან მხოლოდ ხდება ერთმაგი მსხვრევა და იმსხვრევა საათში გადასამუშავებელი ნედლეულის გაცრისას დარჩენილი მსხვილი ფრაქცია, რომელიც შეადგენს 10 %-ს, ანუ მაქსიმუმ 4 ტონა ნედლეული, გამოყოფილი მტვრის რაოდენობა მხოლოდ მსხვრევისას ტოლი იქნება  $4 \times (0.14/2) / 3,6 = 0.0778$  გ/წმ.

ასევე გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს მიმღები ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორები, საცერში ჩაყრის ადგილები და გადამამუშავებული პროდუქციის სასაწყობო ტერიტორიები.

რაც შეეხება საამშენებლო ბლოკების წარმოებისას ასევე ამოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი, ცემენტის მტვერი და მანგანუმის დიოქსიდი.

საამშენებლო ბლოკების წარმოებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს გადამამუშავებული წილის მიმღები ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი, ბეტონშემრევი და ცემენტის მიმღები სილოსი. ბეტონშემრევი ყოველ 1 ტონა გამოშვებულ ბეტონზე ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა 0.05 კგ მტვერი, რაც 2.4 ტონა საათში

წარმადობის ბეტონშემრევისათვის გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება  $2.4 \times 0.05 / 3.6 = 0.0333$  გ/წმ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მტვრის გამოყოფის ძირითადი წყაროებიდან გაფრქვევის ჯამური ინტენსივობა ტოლია  $0.0778 + 0.0333 = 0.1111$  გ/წ-ის, ამიტომ მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები აღნიშნული საწარმოდან არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმებს როგორც უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, ასევე 500 მეტრიან ზონაში.

საწარმოს ფუნქციონირებისას წყალი საწარმო მიზნებისათვის გამოიყენება მხოლოდ საამშენებლო ბლოკების წარმოების ბეტონშემრევაში და მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წყლის მომარაგება მოხდება ავტოცისტერნით და წყლის ბიდონებით. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ჩაშვება განხორციელდება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში.

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებულია ნაგვის ურნები დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ხმაურის დონე თითოეული დანადგარიდან არ გადააჭარბებს 85 დბ-ს, ასევე საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დიდი მანძილითაა დაშორებული.

საწარმო ტერიტორიაზე ფიქსირდება ხელოვნურად გაშენებული მარადმწვანე ხე მცენარეები, ხოლო თვით საწარმო მოედნებზე ისინი არ ფიქსირდება. ასევე ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმო დანადგარების მონტაჟის დროს არ მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. შემდგომში რაიმე მიწის სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერი არსებობის შემთხვევაში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სრული კანონმდებლობის დაცვით დასაწყვავებული იქნება საწარმო.

საწარმოში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე რაიმე სახის მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საწარმოს ფუნქციონირებისას ბუნებრივი რესურსებიდან გამოიყენება მხოლოდ დამსხვრეული კირქვა და წყალი

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 5.84 მ<sup>3</sup>-ის ოდენობით). აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ საამშენებლო ბლოკების წარმოების დანადგარიდან, სხვა ობიექტებიდან კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან მის შემოგარენში არ არსებობს ანალოგიური ტიპის ობიექტები.

ჯანმრთელობის რისკი საწარმოს ოპერირებისას როგორც წესი, უკავშირდება მხოლოდ საწარმოში შესაძლო მექანიკური ტრავმით. ასევე საწარმოში დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის რისკები დაკავშირებული იქნება ელექტრომოწყობილობებთან ურთიერთობით, რომელმაც გაუფრთხილებლობის შემთხვევაში გამოიწვიოს ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება, თვით გარდაცვალებაც. აღნიშნული პროცესში დაზიანების რისკის მინიმალიზაცია გათვალისწინებულია იმით, რომ აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება იმ თანამშრომლების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ამ სამუშაოებისათვის სპეც ტანცაცმლი (რეზინის ხელთათმანები, ჩექმების და რეზინის წინსაფრები).

ყოველივე აქედან გამომდინარე პერსონალის ჯანმრთელობის რისკის ფაქტორები პრაქტიკულად ნულამდეა დაყვანილი.

**საწარმოს** განკუთვნილი ტერიტორია დაცული ტერიტორიებიდან დიდი მანძილითაა დაშორებული და აქედან გამომდინარე შემოთავაზებული მდებარეობა არ ახდენს უარყოფით გავლენას დაცულ ტერიტორიებზე.

**საწარმოს** შემოთავაზებული ადგილზე არ არის მიწისზედა ძველები (ისტორიული მნიშვნელობის აქტივები ან ნაგებობები). ასევე საწარმოს ფუნქციონირების დაწყებისათვის არ იწარმოება არავითარი მშენებლობა, რადგან ის მთლიანად განთავსებული იქნება უკვე არსებულ შენობაში.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით საწარმოში მოსალოდნელია შემდეგი სახის ავარიები და ავარიული სიტუაციები:

- \* ხანძარი;
- \* საგზაო შემთხვევები;
- \* პერსონალის დაშავება (ტრავმატიზმი);
- \* ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების მოთხოვნების მიხედვით, გეგმაში დოკუმენტირებული უნდა იყოს ავარიული შემთხვევებით გამოწვეული ავარიების დროს სწრაფი, სათანადო და ეფექტური რეაგირების ყველა ასპექტი.

ავარიულ შემთხვევებზე რეაგირების გეგმის საფუძველს წარმოადგენს გეგმის მოქმედების ზონისა და გეგმის შემუშავების სამართლებრივი და ნორმატული ბაზის განსაზღვრა. გარდა ამისა, გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელია საწარმოო მოედნის განლაგების ეკოლოგიური დახასიათება, განსაკუთრებით მგრძობიარე (სენსეტიური) ეკოსისტემების განსაზღვრა, რაც შესრულებულია წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში.

გეგმა უნდა შეიცავდეს რეკომენდაციებს ხანძრის გაჩენის აცილების ღონისძიებების შესახებ. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ინციდენტის შესახებ შეტყობინების ქსელის დაგეგმვა და შექმნა, აგრეთვე საკონტაქტო ინფორმაციის ფორმების განსაზღვრა. გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ავარიული სიტუაციაზე რეაგირება და შემდგომი მართვის საკითხები.



დანართი 1. საწარმოს განთავსების სიტუაციური ნახაზი.





მწის (უზრეო ქონების) საკადასტრო კოდი **N 81.04.05.722**

### ამონაწერი საჯარო რეგისტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 892018433136 - 22/05/2018 11:16:28

მოწმადების თარიღი  
22/05/2018 12:11:57

#### საკუთრების განყოფილება

მონა გარდაბანი	სექტორი კრწანისი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამზატებული ფართობი: 62894.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: სხვა ფართი:მუხობა-ნაგებობების სტატიით ფართი 12158,72 კვ.მ.
<b>81</b>	<b>04</b>	<b>05</b>	<b>722</b>	

მისამართი: გარდაბანი , სოფელი კრწანისი

#### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882009107830 , თარიღი 15/04/2009 16:01:10  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/04/2009

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების მოწმობა N841 , დამოწმების თარიღი: 15/04/2009 , გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრები:

შპს "ხის დამამუშავებელი კომბინატი", ID ნომერი:226518408

მესაკუთრე:

შპს "ხის დამამუშავებელი კომბინატი"

ბლწერა:

#### იპოთეკა

საგადასახადო გარანტია:

რეგისტრირებული არ არის

#### ვალდებულება

ყბდლა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეგისტრირ:

რეგისტრირებული არ არის




დანართი 3. მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი.



საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს  
გარდაბანის სარეგისტრაციო სამსახური  
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 81 04 05 722  
 განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882009107830  
 მიწის ნაკვეთის ფართობი: 62894 კვ.მ.  
 დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

მოზარდების თარიღი: 16.04.09



	შენობა-ნაგებობა, არსებითი ნიშნის სარეგისტრაციო		უკლებულება		სარეგისტრაციო საზღვარი		UTM (საქართველოს) საქვების კოორდ.
	მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		მშენებარე ნაგებობა				

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 ქ. ნიკოლოზის ქ. მე-2 კვ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41  
 გარდაბანის სარეგისტრაციო სამსახური: ქ. ვარდისა 1003. ფაქსი: დამატებითი ქ. N 73  
[www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)